პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

1
დეკემბერი
კვირა,
1963 წ.
№ 237 (2342)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

საკავშირო პირველობები ჭადრაკში

●

ლენინგრადი

IV ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. სუეტინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ავერბახთან, ხოლო ბაგიროვმა — კლოვანთან.

ტურნირს სამი ლიდერი ჰყავს — ე. გელერი, ა. სუეტინი და ვ. ბაგიროვი — 3 ქულა თვითეულს.

ბაქო

X ტურში კუშნირმა მოუგო ბორისენკოს, რაც ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში მისთვის მეტად მნიშვნელოვანია. კოზლოვსკაიამ დაამარცხა პოსტნიკოვა. ზედიზედ მესამე პარტია წააგო შადურამ, ამჯერად დმიტრიევასთან.

დაძაბულად მიმდინარეობდა ჩაიკოვსკაია-ზატულოვსკაიას პარტია, რომელიც ბოლოს „საზავო შეთანხმებით“ დამთავრდა. ყაიმით დასრულდა აგრეთვე რანიკუ-სკეგინას, კაკაბაძე-ზვორიკინასა და ივანოვა-კაზმინას შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

X ტურის შემდეგ ა. კუშნირს 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, კ. სკეგინას — 7,5 ქულა, ა. ჩაიკოვსკაიას — 6,5 ქულა, ვ. კოზლოვსკაიას — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ზეიმით აღნიშნეს

გუშინ, თბილისში ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კლუბში რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებამ აღნიშნა ფიზკულტურის ინსტიტუტის არსებობის 25 წლისთავი. სხდომაზე ინსტიტუტის მიერ ამ პერიოდში ფიზკულტურული კადრების მომზადების დარგში მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რექტორი ა. ფალავანდიშვილი.

სხდომის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

„დედოფლის თასი“

მძლეოსნები მრავალ სხვადასხვა სახის შეჯიბრებას ატარებენ. „სპორტის დედოფალს“ ახლა კიდევ ერთი შეჯიბრება შეემატა — ევროპის თასი. ევროპის თასი ამას წინათ დააწესა ევროპის მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტმა თავის სხდომაზე სოფიაში. ამასთან დაკავშირებით, ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გ. კორობკოვს, რომელიც ესწრებოდა კომიტეტის სხდომას სოფიაში. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრის შინაარსს:

— რამ წარმოშვა ევროპის თასის გათამაშების იდეა?

— მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშების მოწყობა თვით ცხოვრებამ გვიკარნახა. მისი პოპულარობა ჩვენს კონტინენტზე ყოველწლიურად იზრდება. ამას კი ხელი შეუწყო მძლეოსნობის დიდმა წარმატებებმა საბჭოთა კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და იუგოსლავიაში. მძლეოსნობაში ჩატარებული ტურნირები დიდად უწყობს ხელს მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდობას შორის.

— კი მაგრამ მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატები ხომ რეგულარულად ტარდება?

— დიახ. ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპის პირველობათა შორის შუალედების სპორტულ კალენდარში ჩნდება „ფანჯრები“. წლების ამ შუალედებში საჭიროა ევროპის მძლეოსანთა შეჯიბრებების სწორი სისტემის ორგანიზაცია. ასეთია ევროპის თასის გათამაშების იდეა.

— გვიამბეთ როგორ ჩატარდება ევროპის მძლეოსანთა ახალი შეჯიბრება.

— სოფიაში გადაწყდა, რომ 1965 წლიდან ერთდროულად ჩატარდეს ევროპის თასის გათამაშება როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის. თავდაპირველად გაიმართება წინასწარი შეჯიბრებები. გუნდები დაიყოფიან ზონებად. თასის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნების რიცხვის შესაბამისად ჩატარდება წინასწარი შეჯიბრებები ზონებში — ზაფხულის სტარტზე, ხოლო ნახევარფინალები, ანდა უშუალოდ ფინალი — ზაფხულის დამლევს. გათამაშების საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნდება 1964 წლის მაისში.

— თქვენ, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების გუნდის მწვრთნელს, რა შეგიძლიათ თქვათ ევროპის თასის გათამაშების შესახებ?

— საბჭოთა მძლეოსნები სერიოზულად მოემზადებიან ამ პირველი, ოლიმპიური თამაშების შემდგომი, დიდი შეჯიბრებისათვის, რომელიც უთუოდ კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა მძლეოსნების მეგობრულ კავშირს ევროპის სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან.

დღეს სტარტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1964 წელი ოლიმპიური თამაშების წელია, ამიტომ ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრება მომავალ სეზონში სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან თარიღთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც დღეს იწყება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, ერთგვარად შემჭიდროებულ ვადებში ტარდება. ვაჟთა ტურნირი დამთავრდება მარტის ბოლო რიცხვებში, ხოლო შემდეგ შეიკრიბება ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი და დაიწყებს ოლიმპიურ სამზადისს. კალათბურთელთა მზადყოფნის უკანასკნელი შემოწმება იქნება აგვისტოს ტურნირი, რომელშიც გამოვლენ ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრები, აგრეთვე საბჭოთა არმიის „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და სხვა სპორტსაზოგადოებათა უძლიერესი კალათბურთელებისაგან დაკომპლექტებული გუნდები.

ახლა კი საკავშირო ჩემპიონატის შესახებ. დღეს ოთხ ქალაქში — გომელში, კაუნასში, ლენინგრადსა და ალმა-ატაში სტარტს აიღებენ ვაჟთა კოლექტივები. ყოველ ქალაქში გამოდის 6 გუნდი. ამ შეხვედრების დამთავრების შემდეგ გომელის ჯგუფის კალათბურთელები შეხვდებიან კაუნასის ჯგუფის გუნდებს, ხოლო ლენინგრადის ჯგუფისა — ალმა-ატის ტურნირის მონაწილეებს. ეს იქნება ჩემპიონატის პირველი ეტაპი. მოგვიანებით 12 უძლიერესი გუნდი გაითამაშებს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებს.

თბილისის „დინამო“ და „ბურევესტნიკი“ გამოდიან კაუნასის ჯგუფში. აქ მათ გარდა იბრძვიან: ლენინგრადის „სპარტაკი“, კაუნასის „ჟალგირისი“, დუშანბეს „ტაჯიკისტანი“ და ფრუნზეს სკიფი.

ანალოგიური ფორმულით ტარდება ქალთა ჩემპიონატიც. იგი იწყება 1 დეკემბერს 4 ქალაქში: დნეპროპეტროვსკში, ელექტროსტალში, მინსკსა და ტარტუში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მონაწილეობს დნეპროპეტროვსკის ჯგუფში, სადაც გამოდიან: მოსკოვის „ლოკომოტივი“, ტაშკენტის „ტექსტილმაში“, დნეპროპეტროვსკის „სტალი“, ერევნის „სპარტაკი“ და ლენინგრადის სკა.

... მიძღვნილი იუბილარისადმი

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ახლახანს გამოსცა საქართველოს სსრ სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალი, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული ფოტომასალებით და შეიცავს ვრცელ წერილს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

საინტერესო ფოტომასალები წარმოადგენენ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპს, ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი მხრებით იტვირთეს ჩვენს რესპუბლიკაში ამ დიდმნიშვნელოვანი სასწავლო დაწესებულების დაარსების საქმე და სათავეში ჩაუდგნენ ფიზიკური კულტურის მომავალ პედაგოგ-სპეციალისტთა აღზრდას. ერთ-ერთი ფოტოსურათით ჩვენ ვეცნობით პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფს, რომელიც მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური კულტურის ფაკულტეტზე. ეს ფაკულტეტი, როგორც ცნობილია, დაედო საფუძვლად ინსტიტუტის შექმნას. საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს მეორე ფოტოც. მასზე აღბეჭდილია პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც ინსტიტუტში მისი დაარსებიდანვე მუშაობს.

დანარჩენი ფოტოსურათები მოგვითხრობენ ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაკთა, კათედრათა გამგეებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კონტიგენტის შესახებ, აქ გამლილი ხამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის შესახებ, მოგვითხრობენ ჩვენი რესპუბლიკის იმ სახელგანთქმულ სპორტსმენებზე — მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონებზე და რეკორდსმენებზე, რომლებიც აღიზარდნენ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

წერილში, რომელიც მთელ ამ ჟურნალს მიჰყვება, განხილულია ინსტიტუტის დაარსებისა და 25 წლის მანძილზე მისი მოღვაწეობის საკითხები, წარმოდგენილია ფაქტობრივი მასალა ამ ხნის განმავლობაში აქ აღზრდილი სპეციალისტებისა და ჩატარებული ფართო მეცნიერული მუშაობის შესახებ.

1963 წლის საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის.

სურათზე: ქუთაისელთა თავდამსხმელი ჯ. ხაჟალია გადის გარღვევაზე.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

საქართველოს სსრ 1963 წლის პირველობის ფინალური გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 30 ნოემბრისათვის

I-X ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ნ.	ქ.
„იმერეთი“ ქუთაისი	33	22	5	6	66—24	49
„მეშახტე“ ტყიბული	36	20	8	8	71—41	48
სახ. სამ. ინსტ. თბილისი	32	16	14	2	55—26	46
„მერცხალი“ მახარაძე	36	15	16	5	57—29	46
„სინათლე“ თბილისი	35	20	6	9	69—48	46
„გურია“ ლანჩხუთი	34	17	8	9	57—35	42
„მესხეთი“ ახალციხე	35	18	6	11	63—46	42
„ცისკარი“ ცხაკაია	36	14	13	9	69—50	41
„ლოკომოტივი“ სამტრედია	36	16	7	13	65—44	39
„ოდიში“ ზუგდიდი	35	14	6	15	59—55	34

• • •

XI-XXVIII ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ ზესტაფონი	31	15	7	9	43—34	37
„შუქურა“ ჩაქვი	32	15	7	10	50—43	37
„დილა“ გორი	32	11	14	7	41—36	36
„მაღაროელი“ ჭიათურა	32	14	6	12	54—44	34
„შახტიორი“ ტყვარჩელი	31	11	12	8	51—42	34
ფიზკ. ინსტ. თბილისი	32	14	6	12	43—39	34
„ნადიკვარი“ თელავი	32	10	10	12	52—55	30
„განთიადი“ ბათუმი	32	12	6	14	37—44	30
„განთიადი“ ბორჯომი	32	8	13	11	27—39	29
„წინსვლა“ წულუკიძე	31	8	12	11	40—45	28
„სპარტაკი“ ცხინვალი	32	8	9	15	46—70	25
„ისანი“ თბილისი	31	8	8	15	27—50	24
„დურუჯი“ ყვარელი	31	6	10	15	46—68	22
„სალხინო“ გეგეჭკორი	32	8	6	18	50—76	22
„დინამო“ სოხუმი	32	5	11	16	22—41	21
„მექანიზატორი“ ფოთი	32	4	8	20	31—55	16
„კახეთი“ გურჯაანი	32	2	10	20	20—71	14
„მეტალურგი“ რუსთავი	31	4	5	22	33—86	13

მატჩების ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ინსტიტუტი

ვერცხლისფერი ფოლადის უზარმაზარი ფრინველი მძიმედ დაეშვა თბილისის აეროდრომზე. თვითმფრინავიდან გადმოსულ მგზავრებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოცი ახალგაზრდა, რომლებსაც ნაცნობებივით შემოეგებნენ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგები, რექტორატისა და პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ამ დღეს თბილისმა მიიღო თავისუფლების კუნძულის — კუბის ოცი ახალგაზრდა მწვრთნელი, რომელთა დახელოვნებაც საკავშირო სპორტკავშირმა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს მიანდო. სასურველ სტუმრებს მასპინძლებმა გადასცეს სამკერდე ნიშნები, რომლებზეც ლამაზად იყო ამოტვიფრული ციფრი „25“.

— ინსტიტუტს, სადაც თქვენ მოგიწევთ დახელოვნება, მიმდინარე წლის ნოემბერში არსებობის 25 წელი უსრულდება.—აუხსნეს კუბელ ახალგაზრდებს.

მანქანები ქალაქისაკენ დაიძრნენ. როდესაც ორთაჭალჰესს გაუსწორდნენ, ინსტიტუტის უხუცესმა მასწავლებელმა თარჯიმანის დახმარებით აუწყა სტუმრებს:

— სწორედ აქ, ორთაჭალაში, 1937 წლიდან ჩვენი ინსტიტუტი იყო მოთავსებული. გვიჭირდა, მაგრამ მონდომებული შრომით კოლექტივი მაინც აღწევდა მიზანს. გამოყენებულ იქნა ყოველგვარი შესაძლებლობანი. აი, გახედეთ ფერდობზე მდგარ გაუქმებულ საყდარს, ჩვენ იგი საჭიდაო დარბაზად გადავაკეთეთ და აქ ვაწრთობდით სტუდენტ-მოჭიდავეებს.

მანქანები სანაპიროზე გასრიალდნენ და ვარაზის ქუჩას აჰყვნენ.

— ეს ჩვენი უნივერსიტეტია, — განაგრძო უხუცესმა პედაგოგმა, — სადაც პირველად, 1935 წელს, გაიხსნა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი. უნივერსიტეტში ამჟამად მუშაობს მსოფლიოში კარგად ცნობილი მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი, რომელიც ადრე ამ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს ფიზიოლოგიაში. მასთან ერთად ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ პროფესორები რევაზ ნათაძე, გიორგი მღებრიშვილი, მიხეილ გორგაძე; ამაგდარი პედაგოგები ვლადიმერ ჯაველიძე, ლევან გოლოვნია, გიორგი მერკვილაძე და სხვები; თუ კი მაშინ საქართველოში იყო მოწინავე, საქმის მცოდნე სპორტსმენი, ყველამ თავისი წვლილი შეიტანა ამ ახალი საქმის გამარჯვებაში. მას შემდეგ ინსტიტუტს (ფაკულტეტი დამოუკიდებელ ინსტიტუტად გადაკეთდა 1938 წელს) შეემატა ახალ-ახალი ძალები და ამჟამად მის პედაგოგთა შორის 5 პროფესორი და 20 მეცნიერებათა კანდიდატია.



საუბარში შეუჩნევლად დაილია გზა. მანქანები ფიზიკური კულტურის ლამაზი შენობის წინ გაჩერდნენ. ხანმოკლე შესვენების შემდეგ სტუმრები შენობისა და სპორტული ბაზების დათვალიერებას შეუდგნენ. ნახეს ფართო აუდიტორიები და ლაბორატორიები; ტანვარჯიშის, სპორტული თამაშების, მძლეოსნობის, ჭიდაობის, ძალოსნობისა და ფარიკაობის დარბაზები, შენობის უკან მოწყობილი სტადიონი სარბენი ბილიკებითა და სახტომი ორმოებით, ჩოგბურთის, ხელბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

„ასეთ ბაზებზე ვარჯიში მართლაც ბედნიერებაა“, — შეიძლებოდა ამ სიტყვების ამოკითხვა სტუმართა სახეზე. ისინი აღფრთოვანებულნი გაეშურნენ მათთვის განკუთვნილი აუდიტორიისაკენ და როდესაც ჩაუარეს დერეფანში გამოკრულ პორტრეტებს, ერთერთმა ჭაბუკმა ორესტეს ალვარესმა ხმამაღლა წამოიძახა: „კარტოზია! ბალავაძე!“ კედელზე მართლაც ეკიდა სურათები იმ კურსდამთავრებულებისა, რომლებმაც თავიანთი სპორტული მიღწევებით ასახელეს აღმზრდელი კოლექტივი. კარტოზიასა და ბალავაძის გვერდით მოჩანდნენ: ნ. დუმბაძე, მ. ჯუღელი, გ. შარაბიძე, დ. ციმაკურიძე, გ. სხირტლაძე, ვ. ილურიძე, მ. ცალქალამანიძე, რ. შავლაყაძე, ნ. ასათიანი და სხვები; მათ გვერდს უმშვენებდნენ ამჟამად მოსწავლე სპორტსმენები: ო. ეგაძე, გ. კოსტავა, რ. რურუა, ნ. ხოხაშვილი, გ. გუდაშვილი, ო. ფხაკაძე, კ. წაქაძე, ბ. ნიკიტინი, გ. ლორთქიფანიძე და სხვები.

— დიახ, ესენი ჩვენი სახელმოხვეჭილი აღზრდილებია, — უთხრა მათ ინსტიტუტის რექტორმა ალექსანდრე ფალავანდიშვილმა, — გასაკვირი არაა, რომ შორეულ კუბაში თურმე კარგად იცნობენ ჩვენს აღზრდილებს; ბრწყინვალე სპორტსმენებს მსოფლიო იცნობს, მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ მათი დახელოვნებისათვის დაძაბულობით აღსავსე რამოდენიმე წელი იყო საჭირო. ბევრმა მათგანმა თავისი სპორტული გზა პირველი კურსის პირველი თვიდან დაიწყო და მეოთხე კურსის დამთავრებისას კარგი პედაგოგის ჩვევებთან ერთად ცნობილი სპორტსმენის სახელიც ჰქონდა მოპოვებული. მათ სამედიცინო ინსტიტუტის ტოლი კურსით გაიარეს ანატომია, ქიმია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, სამკურნალო ფიზიკური კულტურა და სხვა საგნები; ეს იმიტომ, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი თუ ცალკეული სპორტსმენი კარგად უნდა იცნობდეს იმ სასიცოცხლო პროცესებს, რასაც მის ორგანიზმში იწვევს ფიზიკური ვარჯიში. ყოველი პედაგოგი და სპორტსმენი ექიმზე არანაკლებ უნდა ერკვეოდეს ადამიანის აგებულებასა და შინაგანი ორგანოების ფუნქციებში. მაგრამ ეს მარტო როდია საკმარისი; სტუდენტები აქ ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს, პედაგოგიკისა და ფიზიკური აღზრდის თეორიის საფუძვლებს, ფიზიკური კულტურის ისტორიასა და ორგანიზაციას. ისინი გადიან აგრეთვე პედაგოგიურ და საორგანიზაციო პრაქტიკას მეორე, მესამე და მეოთხე კურსებზე.

რექტორმა შენიშნა, თუ რა გაკვირვებული თვალებით გადახედა ბიენვენიდო გაიტისოლომ რამონ როდრიგესს.

— საშიში არაფერია, მეგობრებო, — დაამშვიდა ისინი ფალავანდიშვილმა, — მონდომებული სტუდენტები ადვილად ძლევენ ამ ძნელ გზას!

შემდეგ მან ფანჯარა გამოაღო, სტუმრებთან ერთად მოედნების პანორამას გადახედა და განაგრძო:

— ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო გრაფიკის ნახევარი პრაქტიკულ დისციპლინას ეთმობა. მომავალი პედაგოგი ვალდებულია დაეუფლოს ყველა სახის სპორტულ თამაშს — ფეხბურთს, ხელბურთს, ფრენბურთს, კალათბურთს, ჩოგბურთს, მძლეოსნობის ორმოცდაათამდე სახეობას, ტანვარჯიშს, ჭიდაობას, სიმძიმეების აწევას, კრივს, ფარიკაობას, ველოსპორტს, ცურვას, სათხილამურო სპორტს, ალპინიზმს და სხვ. აი, ამ გზით გამოიზარდა ჩვენთან ორიათასხუთასამდე პედაგოგი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის გარდა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც მოღვაწეობენ. თქვენ მათ ნახავთ ბელორუსიის, სომხეთის, უზბეკეთისა და როსტოვის უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური კათედრების დოცენტებისა და უფროსი მასწავლებლების თანამდებობაზე, გარკვეული ნაწილი კი მშობლიურ ინსტიტუტში დარჩა და აქ ემსახურება ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

— საქართველო უკვე უზრუნველყოფილია ფიზკულტურული კადრებით? — იკითხა შავგვრემანმა ჭაბუკმა რიკარდო ბარსელომ.

— ჯერ კიდევ იგრძნობა კადრების ნაკლებობა, — განუმარტა მას რექტორმა, —სწორედ ამ ნაკლის შევსების მიზნით ინსტიტუტში დასწრებულ განყოფილებასთან ერთად მთელი დატვირთვით მუშაობს დაუსწრებელი განყოფილება, აგრეთვე მწვრთნელთა სკოლა, რომლის ფილიალებიც შარშან გაიხსნა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში. მიმდინარე წელს კი დამატებით გაიხსნა საღამოს დასწრებული განყოფილებაც.

— ამჟამად, — ჩაერია საუბარში სასწავლო ნაწილის უფროსი რ. კერესელიძე, — ჩვენს ინსტიტუტში სწავლობს 1400-მდე სტუდენტი, რომელთაგანაც 117 სპორტის ოსტატია და 197 პირველთანრიგოსანი. საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში საქართველოს ნაკრებ გუნდში 120 ჩვენი სტუდენტი იყო შეყვანილი. ოცდაათი მასწავლებელი ნაკრებ გუნდებზე იყო მიმაგრებული. ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მიერ სპარტაკიადაზე მოპოვებული მეხუთე ადგილის უკან ამ სტუდენტებისა და მასწავლებლების ღვაწლიც ჩანს.

— ოთარ! ოთარ! — გასძახა ამ დროს სასწავლო ნაწილის უფროსმა ფორმაში გამოწყობილ სტუდენტს, რომელიც გასახდელისაკენ მიეშურებოდა, — ეს ახალგაზრდა, — უთხრა მან სტუმრებს, — ორი წელია საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრებ გუნდს ავარჯიშებდა, ამჟამად კი პირველი კურსის სტუდენტია.

—ოთარ ხომერიკი!—გაეცნო კუბელ ამხანაგებს. ერთ-ერთმა ჭაბუკმა არტურო გონსალესმა კი დაფიქრებით თქვა:

— როდესაც ასეთი სპორტული რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელიც კი საჭიროდ თვლის კვალიფიკაციის ამაღლებას, გასაგები ხდება, რა სერიოზული მუშაობა დაგვეჭირდება, რომ ნამდვილ პედაგოგებად და მწვრთნელებად დავუბრუნდეთ სამშობლოს.

შემდეგ სპორტული დარბაზების გავლით სტუმრები გაიყვანეს ფეხბურთის მოედანზე, სადაც ფეხბურთელის ფორმაში გამოწყობილი ასამდე ბავშვი ყიჟინით დასდევდა ბურთებს.

— როგორ, თქვენთან ბავშვებიც სწავლობენ? — გაიკვირვა სერხიო ვალიენტემ.

— არა, — განმარტა სპორტულ თამაშობათა კათედრის გამგემ, — ეს ბავშვთა ჯგუფებია, რომლებსაც ინსტიტუტის მასწავლებლები წვრთნიან. ასეთი ჯგუფები არსებობს აგრეთვე ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, მძლეოსნობაში, ცურვასა და სხვა სახეობებში. რაც მთავრია, ამ ჯგუფებთან მუშაობისას მასწავლებლებს აქტიურად ეხმარებიან სტუდენტები, რომლებიც აქედანვე იღებენ პედაგოგიურ ჩვევებს.

ფრენბურთის მოედანზე ერთ-ერთმა სტუმართაგანმა რაღაც უცნაურ მოწყობილობას მიაქცია ყურადღება.

— ეს მხტომელობის უნარის გამოსამუშავებელი იარაღია, — განმარტა ინსტიტუტის პრორექტორმა ა. მელიამ, მთელ რიგ მასწავლებლებს ახალი ხელსაწყო-იარაღების შექმნისათვის საავტორო უფლებაც აქვთ მოპოვებული. საბჭოთა კავშირში საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი მიჩნეულია ერთ-ერთ მოწინავე სამეცნიერო ცენტრადაც. უკანასკნელ ორ წელიწადში ინსტიტუტის ცხრა მასწავლებელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო ერთმა — სადოქტორო. ინსტიტუტში მუშავდება ისეთი საძიებო საკითხები, როგორიცაა სპორტის ცალკეულ სახეობებში წვრთნის მეთოდიკის სრულყოფა, წვრთნის ფიზიოლოგიური და მეთოდური საფუძვლების დაკონკრეტება, მესამე სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლების განზოგადება და მომავალში მუშაობის გაუმჯობესების გზების დადგენა და მრავალი სხვა. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ჩვენი მასწავლებლების ნაშრომები იბეჭდება არა მარტო საკავშირო, არამედ უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებშიც. ჩვენს

(დასასრული მე-4 გვ.)

საპატიო სიგელებით

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკავშირმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა თანამშრომლები: შ. ბუაძე, ვ. ფოფხაძე, შ. ჭანტურია, ს. ილინი, გ. თელია.

შემოქმედებითი გატაცებით

საქართველოს?!

მოსკოვის V საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც ახლახან დამთავრდა, ღრმა შემოქმედებითი თამაში აჩვენეს ვ. სმისლოვმა (I ადგილი) და მ. ტალმა (II ადგილი).

სპორტული საზოგადოებრიობა ოდნავ სკეპტიკურად იყო განწყობილი ვ. სმისლოვის შესაძლებლობათა მიმართ, ვინაიდან სახელგანთქმული გროსმაისტერი ბოლო წლებში მოკრძალებული მაჩვენებლებით მონაწილეობდა დიდ ტურნირებში. მ. ტალის სპორტულ მიღწევათა მრუდემ კვლავ აიწია 1963 წლის გამოსვლებში (XXX ჩემპიონატი — II-III ადგილები, საერთაშორისო ტურნირებში მიშკოლცში — I ადგილი, ჰავანაში — II ადგილი).

ამას წინათ საქართველოში სტუმრობისას მ. ბოტვინიკმა გამოთქვა აზრი, რომ ვ. სმისლოვი კვლავ დაუბრუნდება ჩვეულ ფორმას და მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ეს სიტყვები გამართლდა. სმისლოვმა იშვიათი ძალით განვლო მოსკოვის ტურნირი, რომელშიც 7 გროსმაისტერი და 9 ოსტატი მონაწილეობდა. მხოლოდ მას არ წაუგია არც ერთი პარტია, 8 პარტია მოიგო და 7 ყაიმით დაამთავრა.

აი მისი ახლანდელი თამაშისათვის დამახასიათებელი პარტია.

გლიგორიჩი-სმისლოვი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. მf3 მgf6 6. მ:f6+ მ:f6 7. კc4 კf5 8. მe5 e6 9. 0—0 კe7 10. კb3 a5! 11. c4 0—0 12. კf4 c5 13. dc კ:c5 14. ლe2 ლd4 15. კg3 a4 16. კc2.

სმისლოვმა უპირატესობა მოიპოვა. გლიგორიჩი იძულებულია დათმოს პაიკი თავისუფალი თამაშისათვის.

16.... ლ:b2 17. მd3 კ:d3 18. ლ:d3 ეfd8 19. ლe2 ლb6 20. კe5 კd4 21. ეab1 ლa5 22. კ:f6 კ:f6 23. ე:b7 ლd2 24. ლe4 g6 25. g3 ლc3 26. ლf4 ეac8 27. კd1 ე:c4 28. ლe3 ლd4 29. ლe2 ეc1 30. კc2 ე:f1+ 31. მფ:f1 ლd5 32. კe4 ლd2 33. ეa7 ლb4 34. ეa8 ე:a8 35. კ:a8 a3 36. კe4 მფg7 37. მფg2 კd4 38. კd3 ლc3 39. კc4 ლa1 40. კb3 ლc3 41. h4 h5 42. ლc2 ლe1 43. კc4 (აჩქარებს წაგებას) 43.... კ:f2 44. ლ:f2 ლe4+ 45. ლf3 ლ:c4 46. ლ:a3 ლc2+ 47. მფf3 e5 48. მფe3 ლg2 გლიგორიჩი დანებდა.

ვ. სმისლოვმა კვლავ „იპოვნა“ საკუთარი თავი და სწორედ ამიტომ იწვევს დიდ სპორტულ ინტერესს მისი მონაწილეობა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში, რომელიც 1964 წლის თებერვალ-მარტში მოეწყობა მოსკოვში.

სასიხარულოა, რომ მ. ტალი ისევ თავის ძველ სტილში თამაშობს — მწვავე კომბინაციებით, შეტევით. მოსკოვის ტურნირზე 15 გათამაშებული პარტიიდან მან 9 პარტიაში განახორციელა ფიგურის ან პაიკების შეწირვა, რისთვისაც მიიღო გაზეთ „შახმატნაია მოსკვას“ სპეციალური პრიზი საუკეთესო შემოქმედებითი მიღწევისათვის.

— მ. ტალის ენერგიული ბრძოლა, — აღნიშნავს ტურნირის მთავარი მსაჯი ბ. ნაგლისი, — გადამდებ გავლენას ახდენდა მის მეტოქეებზე და ამით იმატა ტურნირის საერთო ტონუსმა.

ვის არ მოხიბლავს მ. ტალის პარტია იუგოსლაველ გროსმაისტერ ა. მატანოვიჩთან.

ტალი-მატანოვიჩი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 ლc7 12. მbd2 კd7 13. მf1 ეfe8 14. b3 g6 15. კg5 მh5 16. კ:e7 ე:e7 17. მe3 მf6 18. მg5! cd 19. cd ეc8 20. ეc1 h6? შეუმჩნეველი შეცდომა, რომლითაც გონებამახვილურად სარგებლობს ტალი.

21. de de 22. მd5! მ:d5 23. ed მb7 24. მ:f7! ე:f7 (თუ 24.... მფ:f7, მაშინ 25. კ:g6+ მფ:g6 26. ე:c7 ე:c7 27. d6) 25. კ:g6 ლd6 26. კ:f7+ მფ:f7 27. ე:c8 კ:c8 28. ლc2 კd7 29. ლh7+ მფf8 30. ეe3 მატანოვიჩი დანებდა.

საერთო მოწონება დაიმსახურა ტალი-პადევსკის პარტიის ამ დაბოლოებამ, რომელშიც ტალმა განახორციელა მეტად იშვიათი კომბინაცია ლაზიერის შეწირვით.



პადევსკის 25.... d4 ტალმა უპასუხა 26. e6! dc 27. ed კg7 28. მ:c7 და ბულგარელი ოსტატი დანებდა.

ნაადრევად ხომ არ დანებდა პადევსკი? არა. 28.... [illegible] მოჰყვებოდა 29. ეe8+, ხოლო 28.... კ:h1-ს 29. მe8+ მფb7 30. d8ლ. შეიძლება კიდევ 28.... ლf3. მაშინ ტალი აპირებდა თამაშს 29. კd6 cb+ 30. მფb1 კe4 31. მe8+ მფb7 32. კg2! (და არა, 32. d8ლ? კ:c2+ 33. მფ:c2 ლc3+ 34. მფb1 ლd3+ 35. მფa2 b1ლ+ მოგებით) 32.... ლ:g2 33. d8ლ მოგებით, შეიძლება კიდევ 29. მd5+ მფa8 30. კg2! ლg4 31. f3 ან 31. ე:e7.

სწორედ ასეთი თამაშით დაიმსახურა მ. ტალმა ის დიდი აღიარება, რომლის გათვალისწინებით ფიდე-მ მხოლოდ იგი მიიწვია პერსონალურად მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირზე.

თ. გიორგაძე

გაიმართა მორიგი შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან I-X ადგილებისათვის.

„მეშახტე“ (ტყიბული)-„მესხეთი“ (ახალციხე) — 3 : 0. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა მეტად საინტერესო ბრძოლაში, თუმცა მისი მსვლელობა საკმაოდ „ორიგინალურად“ წარიმართა. პირველ ტაიმში შესამჩნევი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია, მაგრამ შესვენების შემდეგ „მეშახტემ“ შეძლო სტუმრების წინააღმდეგობის დაძლევა და ზედიზედ 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანა მის კარში. „მესხეთის“ დამარცხებაში გარკვეული ბრალი მიუძღვის მეკარე მატინიანის სუსტ თამაშს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„ოდიში“ (ზუგდიდი) — 3 : 2. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

პირველმა ტაიმმა უპირატესობა ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა — 1 : 1. შესვენების შემდეგ სტუდენტებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში, დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3 : 2 და მოიპოვეს მეტად საჭირო 2 ქულა.

„ცისკარი“ (ცხაკაია)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 0 : 0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა, შეიძლება ითქვას, რომ თამაში საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. როგორც „ცისკრის“, ისე „გურიის“ ფორვარდებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

„იმერეთი“ (ქუთაისი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 2 : 0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ქუთაისელებმა შეძლეს თავიდანვე აეღოთ ხელში ინიციატივა და 21-ე წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში. შემდგომში რკინიგზელებს რამდენიმეჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეტანათ საპასუხო ბურთი, მაგრამ ეს შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს. მეორე ტაიმში სტუმრებმა გაუშვეს კიდევ ერთი ბურთი და დამარცხდნენ ანგარიშით — 0:2.

„მერცხალი“ (მახარაძე)-„სინათლე“ (თბილისი) — 2:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

თბილისელებმა კარგად დაიწყეს თამაში და რამდენიმე სწრაფი შეტევაც განახორციელეს, თუმცა ამ იერიშებს შედეგი არ მოუცია. კიდევ მეტიც: პირველი ბურთი სწორედ „სინათლის“ კარში იქნა გატანილი საკუთარი მცველის მიერ. 35-ე წუთზე სალუქვაძემ ანგარიში ორამდე გაზარდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს სტუმრებმა ერთი საპასუხო გოლის გაქვითვა. მეორე ტაიმში „სინათლე“ განუწყვეტლივ უტევდა მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ მახარაძელებმა შეინარჩუნეს ანგარიში და გაიმარჯვეს — 2 : 1.

„ოდიში“ (ზუგდიდი)-„მეშახტე“ (ტყიბული) — 0 : 2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

სტუმრებმა კარგად ჩაატარეს აღნიშნული შეხვედრა. ისინი მოქმედებდნენ კოლექტიურად, დიდი მონდომებით, რასაც ზუგდიდელებმა დაუპირისპირეს საკმაოდ ქაოტური თამაში. „მეშახტემ“ ყოველ ტაიმში გაიტანა თითო ბურთი და მოიგო შეხვედრა — 2 : 0.



„ცისკარი“ (ცხაკაია)-„მესხეთი“ (ახალციხე) — 5 : 3. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ცხაკაიელებს თავიანთი უპირატესობით მიჰყავდათ მთელი თამაში, თუმცა საკმარისი აქტიურობა გამოიჩინეს „მესხეთის“ თავდამსხმელებმა. ეს იყო ერთობ „უხვმოსავლიანი“ თამაში, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 5 : 3.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„მერცხალი“ (მახარაძე) — 1 : 3. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

მახარაძელმა ფეხბურთელებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს შეხვედრა მოწინააღმდეგის მინდორზე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუმრები მეორე ტაიმში, სადაც გადაწყდა მათი გამარჯვების საკითხი. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სამივე ბურთი „ლოკომოტივის“ კარში გაიტანა თ. სალუქვაძემ.

განვლილი კვირის განმავლობაში ჩატარდა შეხვედრები გუნდებს შორისაც, რომლებიც მოხვედრილი არიან ცხრილის ქვედა ნახევარში. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „სპარტაკი“ (ცხინვალი)-„დილა“ (გორი) — 3:1, „დინამო“ (სოხუმი)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 0:1, „დურუჯი“ (ყვარელი)-„განთიადი“ (ბათუმი) — 5:3, „კახეთი“ (გურჯაანი)-„მალაროელი“ (ჭიათურა) — 1 : 1, „ისანი“ (თბილისი)-„მეტალურგი“ (რუსთავი) — 3 : 2, „შახტიორი“ (ტყვარჩელი)-„სალხინო“ (გეგეჭკორი) — 5 : 0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„წინსვლა“ (წულუკიძე) — 1 : 2, „შუქურა“ (ჩაქვი)-„ნადიკვარი“ (თელავი) — 3 : 1.

ქუთაისის „იმერეთმა“ ჩაატარა ქვეჯგუფში გამოტოვებული შეხვედრა ბათუმის „განთიადთან“. ქუთაისელებმა მოწინააღმდეგის მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 1 : 0.

დამთავრდა 1963 წლის სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. დიდ ინტერესს იწვევდა დუბლშემადგენლობათა ტრადიციული ტურნირი, სადაც პირველ ადგილზე გავიდნენ კიევის დინამოელები (55 ქულა), ხოლო მეორეზე — მოსკოვის არმიელები (53 ქულა).

სერიოზულ წარმატებას მიაღწია თბილისის „დინამოს“ სათადარიგო გუნდმა, რომელმაც გათამაშებაში დაიკავა მესამე ადგილი (48 ქულა, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა 64-36). განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს თბილისელმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი.

• • •

სურათზე: თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა გუნდი. ქვედა რიგში (მარცხნიდან) — ე. ხუციშვილი, ნ. ლეჟავა, თ. სახვაძე, გ. ხარტიშვილი, ა. ილიადი. დგანან — გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე, ვ. რეხვიაშვილი, ვ. ჰელიძე, დ. ვეკუა, ზ. წუწუნავა, რ. ტოგონიძე, ვ. კოპინა, ვ. ძიძიგური, ნ. მაისურაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სასახელო საქმე — საზოგადოებრივ საწყისებზე

ამ წერილში გვინდა შევეხოთ ტანვარჯიშის პროპაგანდის რამდენიმე საკითხს. დავიწყოთ თუნდაც ერთის შეხედვით წვრილმანი ამბიდან: შევდივართ კინოთეატრში, ან თეატრში და ანტრაქტებისა თუ სეანსის დაწყების წინ დიდი ინტერესით ვეცნობით კედლებზე გამოფენილ ფოტოსურათებს კინოსა თუ თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტებით. ეს უბრალო ამბავი არაა. ესაა დიდი საზოგადოებრივი პატივისცემა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც იგი თავიანთი უანგარო შრომით დაიმსახურეს. რატომ არ უნდა ამშვენებდეს სპორტული ნაგებობების, კერძოდ, ტანვარჯიშული დარბაზის კედლებს ჩვენი უფროსი თაობის მოღვაწეთა წარმომადგენლების პორტრეტები, რომლებმაც საშვილიშვილო საქმე გააკეთეს ქართული ტანვარჯიშის დანერგვისა და განვითარებისათვის?!

მეორე საკითხი, რომელიც გვსურს დავაყენოთ, არაერთხელ გამოთქმულა „ლელოს“ ფურცლებზეც. ესაა ტანვარჯიშის სახელოვან მოღვაწეთა სახელობის პრიზების დაწესების საკითხი დიდ შეჯიბრებაზე, მისი ტრადიციად ქცევა. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ეს საკითხი, რომელიც ჩვენი ღირსების საქმეცაა და არც ძნელად შესასრულებელი?!

თბილისში, გ. ტაბიძის ქუჩაზე № 21-ში მდებარეობს ნიკო ნიკოლაძის ბინა, სადაც ამჟამად მისი უფროსი ქალიშვილი, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე ცხოვრობს. შესანიშნავ საქმეს გააკეთებდა ჩვენი საზოგადოებრიობა, თუ ამ სახლს მუზეუმად აქცევდა. სახსრებისა და სხვა მსგავსი ფაქტორების არ უნდა შეგვეშინდეს: ეს საქმე შეიძლება გადაიჭრას მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე. მუზეუმის გახსნის შემთხვევაში აქ არ შეწყდებოდა ტანმოვარჯიშეებისა და მთამსვლელთა საზოგადოებრივი საქმიანობა, მისი ხშირი სტუმრები იქნებოდნენ ლიტერატორებიც, ინჟინერ-ტექნიკოსებიც, მეცნიერებიც.

გიორგი ნიკოლაძისა და მისი დის — თამარის ოთახები შესანიშნავი ბაზაა ტანვარჯიშის მუზეუმის მოსაწყობად, სხვა ოთახები კი მათი მამის — შესანიშნავი პუბლიცისტის კუთვნილი დიდძალი ექსპონატითა და მასალით შეივსება. რუსუდანი ხომ თვით არის ცოცხალი მუზეუმი და ამას გარდა ხელთ აქვს მეტად მდიდარი მასალა ნიკოლაძეთა სახელოვან ოჯახზე. ამ ოჯახის არქივის მასალების შესწავლა-გამოკვლევა ბევრ რამეს შემატებდა ჩვენს ტანვარჯიშს.

საჭიროა ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე.

ა. კაიშაური.

ჩვენი ინსტიტუტი

(დასასრული)

მასწავლებლებს ამ მხრივ მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული სოფიის, პრაღის, ლაიპციგის, ბერლინისა და სხვა ქალაქების მეცნიერებთან; ინსტიტუტში გამოიცა სამეცნიერო შრომების 5 კრებული. ამჟამად გამოსაცემად მზადდება მეექვსე ტომი. მეცნიერმუშაკთა უფროს თაობას მხარს უმაგრებენ სტუდენტები, რომლებიც ჩაბმულნი არიან სამეცნიერო წრეებში და თავიანთი ნაშრომებით არაერთხელ დაუმსახურებიათ სტუდენტთა საკავშირო-სამეცნიერო კონფერენციების ჟიურის ჯილდოები.

სტუმრები და მასპინძლები მოედნების გასწვრივ გაშენებულ ხეივანს გაუყვნენ და ჩრდილში ჩამოსხდნენ.

— რა ლამაზი ხეივანი გქონიათ! ჩვენი ქვეყნისა არ იყოს, სამხრეთის ცხელი მზის პირობებში სიცოცხლე იქნება აქ დასვენება! — ვერ დაფარა თავისი აღტაცება ვისენტე ოსორიომ.

— ეს ყველაფერი, — უთხრა მას კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, — ხეივნები, მოედნები, სარბენი ბილიკები, ყვავილნარები თვით სტუდენტთა შრომის ნაყოფია. სწავლისა და წვრთნის შემდეგ ისინი სიამოვნებით ნახულობენ დროს იმისათვის, რომ გაამშვენიერონ და მოაწყონ სავარჯიშო და დასასვენებელი ადგილები. მოგეხსენებათ, კარგი პედაგოგი და სპორტსმენი შრომის სიყვარულის გარეშე ვერაფერს მიაღწევს! მაგრამ სწავლასა და შრომასთან ერთად ჩვენ ჯანსაღი, გონიერი დასვენებაც ვიცით. წამობრძანდით კლუბში, იქ ამჟამად მიმდინარეობს ინსტიტუტის თვითშემოქმედებითი ძალების დათვალიერება.

კლუბში, რომელიც ხუთას კაცს იტევს, სტუმრებმა იხილეს ინსტიტუტის მომღერალთა და საესტრადო ანსამბლის გამოსვლა. ბოლოს კი ნახეს კინომოყვარულთა მიერ შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევები „ქართველი ფალავნები" და „წინაპართა ნაკვალევზე", რომლებმაც რამდენიმეჯერ დაიმსახურეს კინომოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური და საკავშირო დათვალიერების ჟიურის სიგელები.

შთაბეჭდილებებით აღვსილნი გამოვიდნენ სტუმრები ინსტიტუტიდან. ისინი საერთო საცხოვრებლის ახალი შენობისაკენ წაიყვანეს, სადაც მათ ფაქიზად მოწყობილი ოთახები ელოდათ. მათზე ადრე აქ ოთხასამდე სტუდენტმა მიიღო ბინა. სტუმრები მათთვის განკუთვნილ ოთახებში შეიყვანეს. შორეული კუბიდან სასწავლებლად ჩამოსულმა ჯგუფის ხელმძღვანელმა ორესტეს ალვარესმა გამოაღო ფანჯარა და მის წინ გადაიშალა ერთი მთლიანი სპორტული კომბინატი შუაში ლამაზი სასწავლო კორპუსით, რომლის სახურავზეც საზეიმოდ ბრწყინავდა ციფრი „25".

— მაშ, შემთხვევით არ ყოფილა, რომ საბჭოთა კავშირის 16 ფიზკულტურის ინსტიტუტიდან საქართველოს ინსტიტუტი შეგვირჩიეს. იგი ჩვენი მშობლიური კერა გახდება! — საზეიმო ტონით მიმართა მან ამხანაგებს და ძილინებისა უსურვა.

დღეს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი არსებობის 25 წლისთავს ზეიმობს; და ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დიდება, მომავალი ჯანმრთელი და ყოველმხრივ განვითარებული თაობის აღზრდა, გამარჯვებას უსურვებს მის კოლექტივს თავის კეთილშობილურ საქმიანობაში!

ა. ჯანდიერი,
ს. დავითაია,
ე. ლომიძე.

მეოთხე პარტნიორი

ევროპაში მრავალი სპორტული კლუბი არსებობს, რომელთა წევრების რაოდენობა ხშირად რამდენიმე ათასს აღწევს. მაგრამ ბელგიაში არის კლუბი, რომელიც სულ 3 წევრს აერთიანებს. ესაა „მსოფლიოს რეკორდსმენთა ბელგიური კლუბი". მასში შედიან გამოჩენილი სპორტსმენები: გ. რეიფი, რ. მოენსი და ა. ვანდენდრიში. ამას წინათ რეკორდსმენთა კლუბს შემატა კიდევ ერთი ახალი წევრი. ესაა ცნობილი მძლეოსანი გ. რელანტსი.

როგორც კლუბის თავმჯდომარემ რ. მოენსმა განაცხადა, კლუბის წევრები ამჟამად ბედნიერები არიან, ვინაიდან 4 კაცს უკვე თავისუფლად შეუძლია... ბრიჯის თამაში.

ფანატიკოსები უტევენ პოლიციას

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ ფეხბურთის ინგლისელი გულშემატკივარი იტალიელ „ტიფოზიზე" ბევრად უფრო „სოლიდურია" და თავშეკავებული. მაგრამ ეს აზრი საფუძველმოკლებული აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთის თითეული მატჩი ინგლისში მიმდინარეობს პოლიციის „ბადრაგით". ესეც არ შველის საქმეს და ზოგი ინგლისური კლუბი (მათ შორის ჩემპიონი „ევერტონიც") სერიოზულად ფიქრობს მოედანს შემოავლოს მავთულხლართი და ამით დაიცვას მოთამაშეები ფანატიკური გულშემატკივრებისაგან.

დიდი ინციდენტი მოხდა ამას წინათ „ევერტონისა" და „ბლეკბერნის" მატჩის დროს. მსაჯმა 58-ე წუთზე მოედანი დაატოვებინა „ევერტონის" ნახევარმცველ კეის, რომელიც ადგილობრივი მაყურებლების საყვარელ ფეხბურთელად ითვლება. ამას მოჰყვა 2000 ფანატიკოსი გულშემატკივრის ისეთი შეჯახება პოლიციასთან, რომ თამაში კარგა ხნით იქნა შეჩერებული. მხოლოდ პოლიციის დიდმა ძალებმა შეძლეს გულშემატკივრების მოგერიება და შემდეგ მათი გაფანტვა.

ახალგაზრდა მხატვართა კუთხე.



ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი... ხატ. ი. დოიაშვილისა.



ოლიმპიადისწინა სეზონი ქულებში

ყოველ ოლიმპიადებსშუა წელს უცხოეთის პრესა აჯამებს ამა თუ იმ ქვეყნის სპორტულ შედეგებს. მსოფლიო ჩემპიონატებში, დიდ საერთაშორისო ტურნირებსა და ევროპის პირველობებში მოპოვებული შედეგების დაპირისპირებით დგება საერთო სურათი, რომელიც შემდეგ გადაჰყავთ ოლიმპიურ ქულებზე. ამას წინათ „სპორტ ზა რუბეჟომ" მოათავსა სწორედ ასეთი ცხრილი, რომელიც ასახავს ძალთა შეფარდებას ოლიმპიადისწინა წლის შედეგების მიხედვით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი კონკურენტები კვლავ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები გამოდგნენ. ჩვენმა ოლიმპიურმა გუნდმა 1963 წლის დაუსწრებელ ოლიმპიურ ბრძოლაში მოაგროვა 716 ქულა (1960 წელს მოპოვებული 683 ქულის ნაცვლად). ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებელია 492,5 ქულა (463 ქულის ნაცვლად). შედეგთა სიმჭიდროვე არ შეიმჩნევა მესამე ადგილისათვის მებრძოლ ქვეყნებს შორის. გერმანიის გაერთიანებულ გუნდს წლევანდელი სეზონის მიხედვით მნიშვნელოვანი უპირატესობა (365,3 ქულა) აქვს იაპონიის გუნდზე (261,5). თუმცა ოლიმპიური თამაშების მსვლელობაში შესაძლოა ეს შეფარდება მკვეთრად შეიცვალოს.

მომდევნო ადგილებზე მიდიან: უნგრეთი — 178,2 ქულა, დიდი ბრიტანეთი — 141 ქულა, იტალია — 133 ქულა, პოლონეთი — 131,5 ქულა, საფრანგეთი — 113,5 ქულა, ჩეხოსლოვაკია — 111 ქულა, ავსტრალია — 99,5 ქულა, რუმინეთი — 86 ქულა, შვეცია — 73,5 ქულა, ჰოლანდია — 58 ქულა, იუგოსლავია — 50,2 ქულა, ბულგარეთი — 48 ქულა, ბელგია — 40,5 ქულა, თურქეთი — 37,5 ქულა, შვეიცარია — 34 ქულა, დანია—30 ქულა.

როგორი შეფარდებაა სპორტის ცალკეულ სახეობებში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის? მძლეოსნობაში ჩვენი გუნდი 3,5 ქულას უგებს მთავარ მეტოქეს ძირითადად ქალთა ხარჯზე. ცურვაში უდაო უპირატესობა ამერიკელებს აქვთ. მათ დააგროვეს 171 ქულა, საბჭოთა მოცურავეებმა მხოლოდ 36. ასევე დიდი უპირატესობით (41 10-ის წინააღმდეგ) იგებს აშშ წყალში ხტომებს. სამაგიეროდ, დიდი განსხვავებაა მოსალოდნელი ტანვარჯიშში. საბჭოთა სპორტსმენების 126 ქულის წინააღმდეგ ამერიკელები აგროვებენ მხოლოდ 1 ქულას (!). ჭიდაობის ორთავე სახეობაში ჩვენს გუნდებს გარანტირებული აქვთ 76,5 ქულა, ამერიკელებს კი — 15,5 ქულა, მხოლოდ კრივში შეიმჩნევა ძალთა ერთგვარი თანაფარდობა. როგორც ამერიკული, ისე საბჭოთა გუნდები აგროვებენ ქულათა დაახლოებით ერთნაირ რაოდენობას. სპორტის დანარჩენ სახეობებში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა უპირატესობა აშკარაა.

რომელი ქვეყნებია მოხვედრილი პრიზიორთა სამეულში 1963 წლის შედეგების მიხედვით? ოლიმპიური პროგრამის ანალიზი ასეთ სურათს იძლევა:

1. **მძლეოსნობა** — სსრკ—177,5 ქულა, 2. აშშ — 174 ქულა, 3. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 109 ქულა. **ცურვა**—1. აშშ — 171, 2. იაპონია — 51, 3. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 39. **წყალში ხტომები** — 1. აშშ — 41, 2. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 21, 3. საბჭოთა კავშირი — 10. **წყალბურთი** — 1. უნგრეთი — 7, 2. საბჭოთა კავშირი — 5, 3. იუგოსლავია — 4. **ტანვარჯიში** — 1. საბჭოთა კავშირი — 126, 2. იაპონია — 92, 3. ჩეხოსლოვაკია — 37. **ძალოსნობა** — 1. საბჭოთა კავშირი — 38, 2. უნგრეთი — 25, 3. პოლონეთი — 24. **კლასიკური ჭიდაობა** — 1. საბჭოთა კავშირი — 37,5, 2. უნგრეთი — 17,7, 3. იუგოსლავია — 17,7. **თავისუფალი ჭიდაობა** — 1. საბჭოთა კავშირი—39, 2. ბულგარეთი — 33, 3. თურქეთი — 24,5. **ძიუ-დო** — 1. იაპონია—28, 2. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 13,5, 3. საფრანგეთი — 11. **კრივი** — 1-2. საბჭოთა კავშირი და აშშ — 23,5 ქულა თვითეულს, 3-4. იტალია და პოლონეთი — 17 ქულა თვითეულს. **აკადემიური ნიჩბოსნობა**—1. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 40, 2. ჩეხოსლოვაკია — 23, 3. საბჭოთა კავშირი — 20. **საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე** 1. რუმინეთი — 35, 2. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 34, 3. საბჭოთა კავშირი—28. **სროლა** — 1. საბჭოთა კავშირი — 63, 2. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 20,5, 3. აშშ — 9,5. **ფარიკაობა** — 1. საბჭოთა კავშირი—37, 2-3. უნგრეთი და პოლონეთი—35 ქულა თვითეულს. **ცხენოსნობა** — 1. გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 21, 2. დიდი ბრიტანეთი — 20, 3-5. საბჭოთა კავშირი, შვეიცარია და ავსტრალია — 18 ქულა თვითეულს. **თანამედროვე ხუთჭიდი** — 1. უნგრეთი — 21, 2. საბჭოთა კავშირი — 13, 3. აშშ — 4. **ველორბოლა** — 1. იტალია — 31, 2. საფრანგეთი — 30, 3. ბელგია — 26. **საიალქნო სპორტი** — 1. აშშ — 16, 2. დიდი ბრიტანეთი — 15, 3. გერმანიის გაერთიანებული გუნდი— 13. **კალათბურთი** — 1. საბჭოთა კავშირი — 5, 2. იუგოსლავია — 4, 3. აშშ — 3. **ფრენბურთი** — 1. იაპონია — 13, 2. რუმინეთი — 9, 3. საბჭოთა კავშირი — 8.

ვის როგორ შეუძლია!

პარიზის უნივერმაღის კლიენტები ამას წინათ ძალზე გაოცებულნი დარჩნენ: აკვარიუმში, სადაც, როგორც წესი, ოქროს თევზები დაცურავენ, მათ სპეციალური აღჭურვილობით შემკული ადამიანი დაინახეს. კლიენტებს განუმარტეს, რომ ესაა ლუი ლიურმო, რომელიც ცდილობს დაამყაროს წყალქვეშ ყოფნის ხანგრძლიობის რეკორდი. გაზეთი „დოიჩეს შპროტ-ეხო" (გდრ) იუწყება, რომ თავმოყრილი ხალხის წინაშე ლიურმო მადიანად შეექცეოდა მოხარშულ კვერცხებს და კითხულობდა რაღაც დეტექტიურ წიგნს. 31 საათის შემდეგ იგი წყლიდან ამოვიდა, ჩაიცვა, დათვალა მიღებული ფული და შინისაკენ გაემართა. სახლში მას მოუთმენლად ელოდა მეუღლე. ამ მოუთმენლობას თავისი საფუძველი ჰქონდა. ჯერ ერთი, გადასახდელი იყო ბინის ქირა, მეორე: ლუის მიერ დამყარებული რეკორდი ადრე მის მეუღლეს ეკუთვნოდა. ახლა ლაპარაკობენ, რომ ცოლი აპირებს კვლავ დაიბრუნოს მსოფლიოს რეკორდი.

რედაქტორი ი. უგულავა.

2 დეკემბერს,
საღამოს 5 საათზე

საქ. კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახ. რაიკომის სხდომათა დარბაზში შედგება საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს მარქსისტულ-ლენინური ეთიკის შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა.

ლექციას წაიკითხავს აკადემიკოსი ა. **ბოჭორიშვილი** თემაზე: „მარქსისტულ-ლენინური ეთიკის საგანი".

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 11683